ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 80

დ.სტეფანწმინდა

30.11.2018წ.

ერთის მხრივ , ა(ა)იპ „ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი " (შემდგომში -შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთინო გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნემო" მისი დირექტორის როლანდ სუჯაშვილის სახით ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე -10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად (SMP180002375) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება)შემდეგზე.

1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სხვადასხვა საკვები პროდუქტების (შემდგომში საქონელი) შეძენა :
CPV-15800000- 1100 (ათასასი)ლარი

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1100(ათასასი) ლარს .

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს

3.აგარიშწორება .

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება.

4. საქონლის მიწოდების ვადა , პირობები და ადგილი.

4.1 მიწოდების ვადა ეტაპობრივად 2018 წლის 30 ნოემბრიდან - 30 დეკემბრამდე

4.2 სურსათის უვნებლობა ,ეტიკეტირება,შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანინმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.

4.3 პროდუქტის ეტიკეტირება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2013წლის 31დეკემბრის N441 დადგენილებით დამტკიცებულ „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს,.

4.4. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს დილის 9-00სთ დან 17-00სთ.

4.7.წერილობითი მოთხოვნა მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობაზე მიმწოდებელს გაეგზავნება ელექტრონულად არაუგვიანეს დარიგების წინა დღის 12-00 სთ.

4.8.მიწოდების ადგილი: დაბა სტეფანწმინდის ,არშა-გარბნის, სნოს,სიონის, გერგეტის, გორისციხის,აჩხოტის ყანობის სკოლამდელი ფილიალები.

5.შესყიდვის ობიექტების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შემსყიდველის მხრიდან მიღება -ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:სკოლამდელი ცენტრის დირექტორი ან დირექტორის ბრძანებით დანიშნული უფლებამოსილი პირი.

5.2.მომწოდებლის მხრიდან საქონლის მოწოდებისა და შესაბამისი ზედნადების წარმოდგენის შემდეგ მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება .

6.მხარეთა უფლება მოვალეობები.

6.1.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ბ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას დროულად ჩააყენოს საქმის კურსში მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას.

გ)ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6.2.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ)საკუთარი შეხედულებისამებრ საქონლის ნებისმიერი პარტიის მიწოდებისას მიმწოდებლის თანდასწრებით მოახდინოს დამატებიტი კვლება.გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში უარი თქვას მთლიანად პარტიის მიღებაზე ხოლო მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) მიწოდებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით არაუგვიანეს მეორე დღის 12-00 სთ.

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი:

7.1.ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2.ინსპექტირების გაწევის ფუნქციებია:

ა.მიმწოდებლის მიერ საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ)მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ)ინსპექტირების გამწევი პირი ხარვეზებს აფიქსირებს ოქმით.

7.3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის გამოსწორება ხდება მიმწოდებლის მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

8.1.საქონლის მიწოდების პირობების და ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური რაოდენობის 0.01%

8.2.პირგასამტეხლოს დაანგარიშება მოხდება შეკვეთით განსაზღვრული მიწოდების დღიდან.

8.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9.დაუზღეველი ძალა:

9.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში ერთი მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

9.2.თუ ერთ-ერთი მხარე ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას იგი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახე მეორე მხარეს არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულება განახლდება დაუძლეველი ძალის დასრულებისთანავე.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა,ერთი მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ თანდართული მიზეზეს მითითებით.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის ზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის N398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ 3(სამი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს წერილობით მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით,ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

11.3.ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

12.2.ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 30 ნოემბრიდან-დან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე-მდე

.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ	შპს „ნემო“
დაწესებულებათა ცენტრი	მის: დაბა სტეფანწმინდა, გერგეტისუბანი
მის:დ.სტეფანწმინდა. აღმაშენებლის ქუჩა N9	ს/კ 441486107
ს/კ241499552	მომ.ბანკი „ თიბისი ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGGE
ბანკის კოდი: LBRTGE 22	ა/ა GE46TB7408145067800004
/ქ.გელაშვილი/	/რ.სუჯაშვილი /